

მთავრობის სტრუქტურა

დროის თანამდევი ცვლილებები



პარლამენტის შენობა

პარლამენტის მშენებლობა დასრულდა 1936 წელს, აშენდა ადგილობრივი გრანიტით; ფართობი 12,400 კვ.მ (ფოტო AFLO-სგან)

ძალაუფლების გადანაწილება

იაპონიის სახელმწიფოს კონსტიტუცია ძალაში შევიდა 1947 წელს და ეფუძნება სუვერენულობას, ადამიანის ფუნდამენტალური უფლებების პატივისცემასა და მშვიდობიანობის უზრუნველყოფის პრინციპებს. იაპონიის მმართველობის ფორმა განეკუთვნება კონსტიტუციონალურ დემოკრატიას. "ძალაუფლების გადანაწილების" პრინციპიდან გამომდინარე, ეროვნული მთავრობის აქტივობებს ფორმალურად იყოფენ საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი ორგანოები.

იაპონიის იმპერატორი არის "ქვეყნისა და ერის ერთიანობის სიმბოლო". იმპერატორი, პარლამენტში დამტკიცების შემდეგ, ნიშნავს პრემიერ მინისტრს და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, კაბინეტის რჩევით და თანხმობით ახორციელებს მხოლოდ კონსტიტუციით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას, როგორცაა კონსტიტუციაში, კანონებში, კაბინეტის ბრძანებებსა და ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანა, პარლამენტის მოწვევა, წარმომადგენლობითი პალატის დაშლა და ა.შ.

კონსტიტუციის თანახმად იაპონია არის წარმომადგენლობითი დემოკრატია, რომლის "ძალაუფლების უმაღლესი ორგანოა პარლამენტი". ოფიციალური განმარტების მიხედვით, პარლამენტს, როგორც იაპონიის მმართველი სისტემის ფუნდამენტს, ნაწილობრივად გავლენა აქვს აღმასრულებელ ხელისუფლებაზეც. პრემიერმინისტრის გადაყენება, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია, ხდება პარლამენტის რეზოლუციით. იაპონიაში არსებობს საპარლამენტო კაბინეტის სისტემა, რომელიც ჩამოყალიბებულია პრემიერმინისტრის მიერ. აქედან გამომდინარე, კაბინეტი და პარლამენტი ურთიერთშეთანხმებულად მუშაობენ, ხოლო კაბინეტი ანგარიშვალდებულია პარლამენტის მიმართ. ამ თვალსაზრისით, იაპონიის სისტემა მსგავსია დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო სისტემის, თუმცა განსხვავდება ამერიკის შეერთებული შტატებისგან, სადაც ხელისუფლების სამივე მიმართულება თანაბარუფლებიანია.

იაპონიის საკანონმდებლო ორგანო შედგება ორი პალატისგან: ქვედა პალატისგან ანუ წარმომადგენელთა სახლისგან და ზედა პალატისგან ანუ მრჩეველთა სახლისგან. წარმომადგენლობითი პალატა უფლებამოსილია უნდობლობა გამოუცხადოს კაბინეტს. თავის მხრივ, კაბინეტს შეუძლია ზედა პალატის დაშლა. მას ასევე უფლება აქვს გადააყენოს და დანიშნოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და მოსამართლეები. უზენაესი სასამართლო განსაზღვრავს ნებისმიერი კანონის თუ აქტის კონსტიტუციურობას. კონსტიტუცია უფლებას ანიჭებს პარლამენტს "ორივე პალატის წევრებისგან შექმნას იმპიჩმენტის კომისია, რომელიც განიხილავს მოსამართლეების დათხოვნის საკითხს".

პარლამენტი, როგორც საკანონმდებლო ხელისუფლება



პრემიერ-მინისტრის ოფიციალური რეზიდენცია და სამუშაო ადგილი აქ იმართება კაბინეტის შეხვედრები (ფოტო AFLO-სგან)

პარლამენტი კონსტიტუციით განიხილება როგორც სახელმწიფო ძალაუფლების უმაღლესი ორგანო. იგი შედგება პირდაპირი არჩევნების წესით არჩეული 20 წელს გადაცილებული მოქალაქეებისგან. პოლიტიკური პარტიები, რომელსაც პარლამენტის წევრთა დიდი უმრავლესობა მიეკუთვნება, პოლიტიკური აქტივობის ძირითადი ფორმაა. აქედან გამომდინარე, მიიჩნევა, რომ იაპონია პარტიული პოლიტიკის წარმომადგენელია. პრემიერმინისტრი აირჩევა პარლამენტის მიერ საკუთარი წევრებისგან. შემდეგ პრემიერ მინისტრი აყალიბებს კაბინეტს, რომელიც ფლობს ხელისუფლების აღმასრულებელ შტოს.

პარლამენტი ძირითადი კანონმდებელი ორგანოა. ნებისმიერი კანონი გადის გარკვეულ პროცედურას საბოლოო დამტკიცებამდე. პარლამენტს გააჩნია დამატებითი მნიშვნელოვანი ფუნქციები,

როგორცაა სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება, საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირება, კონსტიტუციის შესწორებების საკითხის განხილვა. არსებობს საპარლამენტო სხდომის სამი სახეობა: ჩვეულებრივი, ექსტრაორდინალური და განსაკუთრებული. ჩვეულებრივი სხდომა, რომელიც მოიწვევა იანვარში 150 დღით, ძირითადია, სადაც პარლამენტის წევრები განიხილავენ მომავალი წლის ბიუჯეტსა და ამ უკანასკნელისთვის საჭირო კანონებს.

მიუხედავად იმისა, რომ წარმომადგენელთა და მრჩეველთა პალატა ინაწილებს ძალაუფლებას, პირველი დომინირებს საკანონმდებლო გადაწყვეტილებების მიღების, პრემიერმინისტრის დანიშვნისა და ბიუჯეტისა თუ საერთაშორისო ხელშეკრულებების განხილვის პროცესში. მაგალითად, თუ კანონპროექტი მიიღო წარმომადგენელთა პალატამ, მაგრამ მრჩეველთა პალატა უარს ამბობს მის მიღებაზე გარკვეული მიზეზით (კანონი ჩავარდა ან მოითხოვს ალტერნატიული ვარიანტი) კანონპროექტი მაინც დამტკიცდება იმ შემთხვევაში, თუ წარმომადგენელთა პალატაში ხელახალი კენჭისყრის შემდეგ ხმათა უმრავლესობის 2/3 მოაგროვდება.

წარმომადგენელთა პალატის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად პირი უნდა იყოს 25 წელს გადაცილებული. მაგალითად, 2013 წლისთვის წარმომადგენელთა პალატის წევრთა რაოდენობა იყო 480. აქედან 300 მაჟორიტარული სისტემით აირჩივა და თითოეულ რეგიონს მხოლოდ ერთი პირი წარმოადგენს. დანარჩენი 180 წევრი აირჩევა პროპორციული პრინციპით, სადაც ადგილები პარტიის მიერ მიღებული ხმების პროპორციულად ნაწილდება. წარმომადგენელთა პალატის წევრები აირჩევიან 4 წლით, მაგრამ კაბინეტს შეუძლია წარმომადგენელთა პალატის დაშლა ვადის ამოწურვამდე.

იმისათვის, რომ კონკრეტული პირი გახდეს საბჭოს წევრი, მინიმუმ 30 წლის უნდა იყოს. 2001 წელს საბჭოს წევრთა რაოდენობა შემცირდა 252-დან 247-მდე, ხოლო 2004 წელს - 242-მდე. 2012 წლისთვის, არსებული 242 ადგილიდან 146 მაჟორიტარული სისტემით აირჩევა, ხოლო დანარჩენი 96 - პროპორციულით. ყველა წევრი აირჩევა 6 წლის ვადით. მთლიანი შემადგენლობის ნახევარი აირჩევა ყოველ მესამე წელს. წარმომადგენლობითი პალატის დათხოვნის შემთხვევაში, მრჩეველთა პალატის წევრები ინარჩუნებენ თავის ადგილს.

კაბინეტი და მთავრობის აღმასრულებელი განყოფილება

კაბინეტი, რომლის წევრთა უმრავლესობა დაკომპლექტებულია პარლამენტიდან, წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს. პრემიერმინისტრს, რომელიც კაბინეტს ხელმძღვანელობს, უფლება აქვს დანიშნოს და გაათავისუფლოს კაბინეტში შემავალი სახელმწიფო მინისტრები (*კოკუმუ დაიჯინი*). იგი ხელმძღვანელობს კაბინეტის სხდომებს და უფლებამოსილია აწარმოოს სხვადასხვა სახის სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელობა და კონტროლი. კაბინეტში გადაწყვეტილების მიღება ხდება ერთსულოვნად. პრემიერმინისტრი და კაბინეტის ყველა წევრი კონსტიტუციის მიხედვით უნდა წარმოადგენდნენ სამოქალაქო პირებს.

კონსტიტუციის თანხმად, "აღმასრულებელი ძალაუფლება ეკუთვნის კაბინეტს", თუმცა კაბინეტი, თავის მხრივ, კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს სხვადასხვა სამინისტროებსა და ცენტრალურ ადმინისტრაციულ ორგანოებს, რომელზეც ხდება იაპონიის მთავრობის მრავალი რუტინული ფუნქციის განხორციელებისა და კონტროლის დელეგირება.

მთავრობის მუშაობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით გატარებული რეფორმების შედეგად, 2001 წლის იანვარში აღმასრულებელმა მთავრობამ განიცადა ფართომასშტაბიანი ცვლილებები, რომლის დროსაც სამინისტროების, კომისიებისა და სააგენტოების რაოდენობა (22-მდე), თითქმის განახევრდა. მინისტრთა კაბინეტის აპარატის გარდა, კაბინეტი მოიცავდა 11 სამინისტროს, მეთერთმეტე დაემატა 2007 წელს, როდესაც თავდაცვის სააგენტო გახდა სამინისტრო.

2011 წლიდან მოყოლებული თითოეულ სამინისტროს ხელმძღვანელობს სახელმწიფო მინისტრი, რომელიც ინიშნება პრემიერმინისტრის მიერ. თითოეულ მინისტრს ჰყავს ერთი ან ორი მოადგილე და სამი საპარლამენტო მდივანი. აღნიშნული პირები ხშირად პარლამენტის წევრები არიან.

კაბინეტის ოფისი შეიქმნა 2001 წლის რეორგანიზაციის შედეგად კაბინეტის ფუნქციებისა და პრემიერმინისტრის ხელმძღვანელის როლის გასაძლიერებლად. პრემიერმინისტრის თავმჯდომარეობით კაბინეტი შეიმუშავებს სხვა სამინისტროებისა და სააგენტოების სახელმძღვანელო გეგმებს და ახდენს საყოველთაო კოორდინაციას. კაბინეტი მეთვალყურეობს საიმპერატორო მეურნეობის სააგენტოსა და სამ ბიუროს: თანასწორი ვაჭრობის კომისია, ეროვნული საჯარო უსაფრთხოების კომისია და ფინანსური მომსახურების სააგენტო. განსაკუთრებულ სახელმწიფო საქმეთა მინისტრების გარდა, კაბინეტის ოფისის

შემადგენლობაში ასევე შედის შემდეგი სამი მნიშვნელოვანი პოლიტიკის საბჭო: მეცნიერებისა და ტექნოლოგიის პოლიტიკის საბჭო, კატასტროფების მართვის ცენტრალური საბჭო და გენდერული თანასწორობის საბჭო.

კაბინეტს, სამინისტროებსა და სხვადასხვა სააგენტოებსა თუ კომისიებს ერთობლივად ეწოდება ცენტრალური მთავრობის ოფისი (*ჩუიო შიოჩო*). 2011 წლიდან იაპონიის ცენტრალური მთავრობის ოფისი ფუნქციონირებს პირამიდის სტრუქტურის პრინციპით. სამინისტროებსა თუ სააგენტოებში თითოეული თანამდებობის უფლებამოსილების ფარგლების განსაზღვრა ხდება კაბინეტის წევრების მიერ.

იაპონიის ცენტრალური მთავრობის სხვადასხვა ოფისის ადმინისტრაციულ საქმიანობაში ჩართული ყველა პირი, მათ შორის მინისტრის მოადგილეები (*ჯიძუ ჯიკანი*) და ჩვეულებრივი საჯარო მოხელეები, შეირჩევიან ეროვნული საჯარო სამსახურის გამოცდის მიხედვით; ისინი არ წარმოადგენენ პოლიტიკური თანამდებობის პირებს და ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში ინარჩუნებენ სამუშაო ადგილს.

იაპონიის სამინისტროების რეორგანიზაციის, იაპონიის ეროვნული რკინიგზისა და 2007 წელს ფოსტის პრივატიზაციის შემდეგ, საჯარო მოხელეთა რაოდენობა (იაპონიის თავდაცვის ძალების გარდა) 2011 წლის მონაცემების თანახმად, შეადგენდა 340,613 ადამიანს (შდრ. 2001 წლის იანვრის მონაცემები, სამინისტროების რეორგანიზაციამდე საჯარო მოხელეთა რაოდენობა 1,268 მილიონი იყო).

კონსტიტუციის განმარტების თანახმად, "ყველა საჯარო მოხელე ემსახურება მთელს საზოგადოებას და არა რომელიმე კონკრეტულ ჯგუფს".

უზენაესი სასამართლო

იაპონიაში დაცულია სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპი და კონსტიტუცია განმარტავს, რომ "არანაირი დისციპლინარული ქმედება არ შეიძლება გატარდეს მოსამართლის მიმართ აღმასრულებელი ორგანოს ან სააგენტოს მიერ." ყველა სამართლებრივი დავა, იქნება ეს სამოქალაქო, ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლებრივი, განიხილება სასამართლოში. კონსტიტუციის მიხედვით, იაპონიის მართლმსაჯულების უმაღლესი ორგანოა უზენაესი სასამართლო. არსებობს 4 უფრო დაბალი ინსტანციის სასამართლო, რომელთა რაოდენობა და დასახელება (2013 წლის დეკემბრისთვის) არის შემდეგი: 8 უმაღლესი სასამართლო, 50 რაიონული სასამართლო, 50 საოჯახო სასამართლო და 438 შემაჯამებელი სასამართლო. კონსტიტუციის მიხედვით, აკრძალულია ე. წ. განსაკუთრებული ტრიბუნალის შექმნა და "დაუშვებელია მართლმსაჯულების ფუნქციის გადაცემა რომელიმე აღმასრულებელი ორგანოსთვის." კონსტიტუციის მე-6 მუხლის მიხედვით, "იმპერატორი კაბინეტის წარდგინებით ნიშნავს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს," ხოლო დანარჩენ 14 წევრს პირდაპირ ნიშნავს კაბინეტი. კანდიდატი, როგორც სასამართლოების შესახებ კანონში არის აღნიშნული, უნდა იყოს "გამჭირახი, კარგად გარკვეული კანონებში და მინიმუმ 40 წლის." მინიმუმ 10 მოსამართლეობის კანდიდატი უნდა შეირჩეს მოსამართლეებიდან, პროკურორებიდან, ადვოკატებიდან და იურიდიული მეცნიერების პროფესორებიდან ან პროფესორის თანაშემწეებიდან; დანარჩენებს

არ მოეთხოვებათ სამართლის ცოდნა. უზენაესი სასამართლოს ყველა წევრი თავიდან აირჩევა პირველი საერთო არჩევნებიდან 10 წლის შემდეგ. საპენსიო ასაკად განსაზღვრულია 70 წელი. უზენაესი სასამართლო განიხილავს საქმეს, ხოლო გადაწყვეტილებებს იღებს ცხრა მოსამართლისგან შემდგარი პალატა ან სამი მცირე პალატა, რომელიც 3-5 მოსამართლითაა დაკომპლექტებული.

დიდი პალატა განიხილავს საქმეებს, რომელიც ეხება საკონსტიტუციო საკითხებს, პრეცედენტებსა და სხვა შემთხვევებს. გარდა ამისა, როგორც საბოლოო ინსტანცია, უზენაესი სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს სასამართლო დავების წესები და სამართლებრივი ადმინისტრირების სხვა წესებთან ერთად, კაბინეტს წარუდგენოს უფრო დაბალი ინსტანციის მოსამართლეების კანდიდატურები. იაპონიის სასამართლო სისტემა ძირითადად სამი საფეხურისგან შედგება, სადაც მხარეებს სასამართლო მოსმენებისა და გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ საკითხის გასაჩივრების უფლება აქვთ ორ ზემდგომ სასამართლო დაწესებულებაში. სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე ხაგრძლივი დრო სჭირდება, რაც განპირობებულია საქმეთა სიმრავლითა და მოსამართლეთა ნაკლებობით. 2004 წლის მაისში სისხლის სამართლის სასამართლო გადაეცა რეკომენდაციების საფუძველზე დაფუძნებულ სასამართლო რეფორმის საბჭოს. 1999 წლის ივლისში დაფუძნებული სამართლებრივი რეფორმების საბჭოს რეკომენდაციით მოხდა სისხლის სამართლის საქმეებზე ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის შემოღება. ნაფიცი მსაჯულების სისტემა, რაც ძალაში შევიდა 2009 წლის 21 მაისს, ჩვეულებრივი მოქალაქეებისაგან შერჩეული შემადგენლობითა და მოსამართლის თანხლებით განიხილავს სისხლის სამართლის საქმეს. ახალი სისტემის მიხედვით პირველი პროცესი გაიმართა იმავე წლის 3 აგვისტოს ტოკიოს რაიონულ სასამართლოში.